ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2015/11

ქ. თბილისი 26 მარტი, 2014 წელი

ხელშეკრულების დამდები მხარეები:

ერთის მხრივ, **სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი"** წარმოდგენილი მისი დირექტორის, თეიმურაზ მურღულიას სახით (შემდგომში „შემსყიდველი") იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გულუას ქუჩა №6, ს/კ # 206351730, სახელმწიფო ხაზინა, კოდი # TRESGE22, ა/ა # 200122900

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

მეორეს მხრივ, **შპს „თავადური",** წარმოდგენილი მისი დირექტორის ვასილ მაკარიძის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი") იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მაიაკოვსკის ქ., №2/4; ს/კ:202243802, სს "საქართველოს ბანკი", კოდი# BAGAGE22, ა/ა # GE64BG0000000118542000

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 ხელშეკრულების საგანია **კვების ობიექტის მომსახურების (CPV55511000 - სასადილოებისა და სხვა დახურული კაფეტერიების მომსახურება)** (შემდგომში "მომსახურება") სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

1.2 შესყიდვა ხორციელდება ცენტრის საკუთარი შემოსავლებით, მწვანე ეკონომიკის ინიციატივის ფარგლებში ვიზიტით მყოფი, OECD-ს წარმომადგენლის საქმიანი ვახშმით გამასპინძლებისათვის.

1.3 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **213.73** (ორასცამეტი ლარი და 73 თეთრი) ლარს (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება) ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯების და გადასახადების ჩათვლით.

2. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

2.1 შესყიდვის ობიექტია: 2015 წლის 26 მარტს მწვანე ეკონომიკის ინიციატივის ფარგლებში ვიზიტით მყოფი, OECD-ს წარმომადგენლის საქმიანი ვახშმით გამასპინძლების მიზნით, კვებით უზრუნველყოფის მომსახურება რესტორანში „თავადური" დანართი #1-ის შესაბამისად. დანართი თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (დანართი 1 ფურცლად)

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს 2015 წლის 26 მარტს.

3.2. მომსახურების გაწევის ადგილია ქ. თბილისი, მაიაკოვსკის ქ., №2/4. რესტორანი „თავადური".

3.2. გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

4.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

4.2.1. მომსახურების გაწევის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

4.2.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

4.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) ახორციელებს სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი"-ს ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტის დროებითი მოვალეობის შემსრულებელი ნინო გოგინაშვილი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება, მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე იბარებს გაწეულ მომსახურებას, ხოლო თუ, მომსახურების გაწევის პროცესში გამოვლინდება, რომ მომსახურება არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს აღნიშნული მომსახურება მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის საფუძველზე არ გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი და მომსახურება სათანადოთ არ იქნა შესრულებული, მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში უზრუნველყოს სათანადო მომსახურების გაწევა, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.4 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მომსახურების გაწევისას მიღება-ჩაბარების აქტი.

5.5. ხელშეკრულების 5.4. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გულუას ქუჩა №6.

5.6 ხელშეკრულებით გათვლისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი"-ს ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტის დროებითი მოვალეობის შემსრულებელი ნინო გოგინაშვილი.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება, ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.4. პუნქტის შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. „შემსყიდველს" გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.2. უზრუნველყოს მომსახურების გაწევის პროცესში რაიმე უზუსტობის აღმოფხვრა გონივრულ ვადაში;

7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;

8.2.2. განაცხადოს უარი მომსახურების მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს

მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად დროულად არ განხორციელდა შესაბამისი მომსახურების გაწევა, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 20%–ის ოდენობით.

13.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2015 წლის 30 მაისამდე, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე მხარეს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

16.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან''; ხოლო ერთი ეგზემპლარი „შემსყიდველთან''.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“	შპს „თავადური“
თეიმურაზ მურღულია დირექტორი	ვასილი მაკარიძე დირექტორი

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2015/11 ხელშეკრულების დანართი #1

	პერსონა	4			
	თარიღი	2015 წლის 26 მარტი ვახშამი			
№	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	სულ ღირებულება
1	კიტრი პომიდორის სალათი	პორცია	1	8	8,00
2	ქათმის სალათი	პორცია	1	8	8,00
3	ზეთისხილი შავი	პორცია	1	4,5	4,50
4	ფხალის ასორტი	პორცია	1	12	12,00
5	ქართული ყველის ასორტი	პორცია	1	18,5	18,50
6	ხბოს რულეტი	პორცია	1	9	9,00
7	ხბოს ჩაშუშული	პორცია	1	12	12,00
8	ღორის ჩალაღაჯი	პორცია	2	13,5	27,00
9	კალმახი შემწვარი	ცალი	2	8	16,00
10	კარტოფილი ფრი	პორცია	2	5	10,00
11	ქამა სოკო სულგუნით	პორცია	1	11,5	11,50
12	ლობიანი	ცალი	1	7	7,00
13	მჭადი	ცალი	6	1,5	9,00
14	შოთის პური	ცალი	4	1,2	4,80
15	ხაჭაპური იმერული	ცალი	1	9	9,00
16	წყალი "წყაროს წყალი ბორჯომი" 0,5ლ	ბოთლი	4	2	8,00
17	ლიმონათი ნატახტარი 0,5ლ	ბოთლი	4	2	8,00
18	ნაბეღლავი 0,5ლ	ბოთლი	4	2	8,00
19	პომიდვრის საწებელი	პორცია	1	2	2,00
20	ტყემალი	პორცია	1	2	2,00
	ღირებულება				194,3
	მომსახურება 10%				19,43
	სულ ღირებულება				**213,73**

„შემსყიდველი“

სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“

რეიმურაზ მურღულია
დირექტორი

„მიმწოდებელი“

შპს „თავადური“

ვასილ მაკარიძე
დირექტორი